გიორგი დემეტრაშვილი - განათლების გაძლიერების პროგრამის მენეჯერი, საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ასისტირების პრაქტიკის მიღწევებისა და გამოწვევების კვლევა

ბოლო წლების განმავლობაში მსოფლიოს განათლების სისტემის პრიორიტეტული მიმართულებაა ინკლუზიური განათლების პოლიტიკის დანერგვა და ხელშეწყობა. ეს რეფორმა მიზნად ისახავს, საგანმანათლებლო სტრუქტურების ცვლილებას, თითოეული ბავშვის მრავალფეროვან საჭიროებაზე მორგებას, თანაბარი განათლების მიღებისა და საგანმანათლებლო პროცესებში თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობას (UNESCO; 2005). საქართველოში 2006 წლიდან დაიწყო ინკლუზიური განათლების პრაქტიკის დანერგვა, რამაც ამ დროის განმავლობაში მრავალი პოზიტიური ცვლილება და წინსვლა გამოიწვია. ერთ-ერთი მათგანია 2018 წლიდან სკოლებში ახალი სერვისის ჩამოყალიბება, რომელიც გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის პერსონალური ასისტენტის დანიშვნის შესაძლებლობას. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესში ეფექტურ ჩართვას, მოსწავლის სოციალიზაციას, კომუნიკაციისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებასა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას. მიუხედავად წინ გადადგმული ნაბიჯისა, ახალი სერვისის დანერგვას მოჰყვა ახალი გამოწვევები საგანმანათლებლო დაწესებულებებში; მათი იდენტიფიცირება ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, შევისწავლოთ პერსონალური ასისტენტების სამსახურის დატოვების მიზეზები, მათი ფუნქცია-მოვალეობები, კვალიფიკაცია და სკოლის ადმინისტრაციასა და ასისტენტებს შორის კომუნიკაციის თავისებურებები, იმისთვის რომ, შევძლოთ შესაბამისი ცვლილებების, მხარდამჭერი აქტივობების დაგეგმვა და საჭირო რესურსების შექმნა.

თვისებრივი კვლევის დიზაინი გამოვიყენეთ იმ მიღწევებისა და გამოწვევების შესაფასებლად, რომლებსაც ასისტენტები აწყდებიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მხარდასაჭერად. კვლევის დიზაინი მოიცავდა სამ ფოკუს ჯგუფს, რომლის მონაწილეებიც იყვნენ ინკლუზიურ განათლებაში ჩართული მხარეები - სკოლის ადმინისტრაცია/დირექტორები, სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა ასისტენტები (SNAs) და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პერსონალი. კვლევაში ჯამში მონაწილეობა მიიღო 34 რესპონდენტმა, რომლებიც სამ სხვადსხვა ჯგუფში გადანაწილდა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი გამოწვევები, რაც ასისტენტების, როგორც ინკლუზიური განათლების განვითარებისთვის ახალი სერვისის დანერგვას მოყვა. პირველ რიგში, გამოიკვეთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის პერსონალური ასისტენტის, როგორც ახალი მომსახურების გაუმჯობესების საჭიროება სკოლაში. კერძოდ, კანდიტატების სიმცირე და ასისტენტთა გადამზადების მწირი შესაძლებლობა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა აღმოჩნდა სერვისის გამართულად ფუნქციონირებისათვის; გარდა ამისა, აღმოჩნდა კომუნიკაციის სირთულეები სკოლის პერსონალს შორის და ასისტენტის პოზიციის განუსაზღვრელი ფუნქცია-მოვალეობები. აღსანიშნავია ასევე, პროფესიული გადაწვა, როგორც პერსონალური ასისტენტების სამსახურის დატოვების მაღალი მაჩვენებლის ერთ-ერთი ფაქტორი. ინკლუზიური განათლების განვითარების ხელშეწყობისა და აღმოჩენილი პრობლემების აღმოფხვრის მიზნით მნიშვნელოვანია შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება.

საკვანძო სიტყვები: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე

Giorgi Demetrashvili - Education Strengthening Program Manager, Charitable Foundation "Caritas Georgia"

Achievements and Challenges of the Practice of Assisting Students with Special Educational Needs

In recent years inclusive education has gained prominence globally as a means to adapt educational systems to cater to the diverse needs of all students, ensuring equitable access and participation. Georgia implemented inclusive education policies starting in 2006, with significant strides made after the introduction of personal assistants for students with special educational needs in 2018. This study explores the implementation of this service in Georgian schools, focusing on the challenges encountered.

Qualitative research was used to investigate the experiences and perspectives of stakeholders involved in inclusive education. Three distinct focus groups were conducted, involving school administrators, special needs assistants (SNAs), and staff from the National Center for Teacher Professional Development. A total of 34 participants provided insights through these focused discussions.

The qualitative analysis revealed several challenges associated with the introduction of personal assistants in Georgian schools. Foremost among these challenges is the insufficient training and professional development opportunities available for assistants. Additionally, the ambiguity surrounding the roles and responsibilities of SNAs and communication barriers within school environments were identified as significant issues. Importantly, the study highlighted that high turnover rates among assistants are largely attributable to professional burnout. Addressing these challenges is crucial for enhancing the effectiveness of inclusive education initiatives in Georgia. The findings emphasize the need for strategic planning, targeted support measures, and resource allocation to optimize the support system for students with special educational needs and improve their educational outcomes.

Keywords: Assistants for students with special educational needs, Students with special educational needs